რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 1„ საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

## „ცნობის ფურცელი"

გამოდის ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ. მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიური ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანეთი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე 6 მანეთს შეასრულებდნენ.

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი წლიურად 5 მანეთად დაეთმობათ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели".

## რედაქციისაგან

„ცნობის ფურცლის" 1, 2, 3 და 4 №№-ები, დასტამბული 1200 ეგზემპლიარად, უკვე დაურიგდა ხელის მომწერთ. ახალი ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ მხოლოდ მე 5 №-დან.

---

გაზეთის დამტარებელთა გამოუცდელობით ქალაქის ხელის-მომწერებს გაზეთი დროზედ ვერ მისდით; რედაქცია ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რომ ეს ნაკლი თავიდან მოიშოროს.

## კაბინეტი კბილის ექიმისა
**ვ. ი. პიპინაძისა**

ნიკოლოზის ქუჩა ,სახლი საგინოვისა, 21, ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ტფილისის მეორე საქალებო საკვირაო სკოლაში, რომელიც იმყოფება ჩუღურეთში, პანასევიჩის ქუჩაზედ, სამოქალაქო სკოლის სადგომში, სწავლის მსურველნი მიიღებიან. ყოველ კვირა დღეს. სწავლა უფასოა. იწყება დილის 12 საათზე.

(5—3 უ.)

## ნომრები „ბაქო"

(ელისაბედის ქუჩა, ჩითახოვის სახლში, № 25. ავჭალის ცხენის რკინის გზის მახლობლად, მეცხრე პოლიციის განყოფილების შენობაში).

ნომრები კარგად მოწყობილია და საოცრად იაფი.

ე. კვაჰაძე.

(4—1)

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").

2 ვოქტომბერი.

**პარიზი.** რუსეთის ელჩმა ბარონ-მორენ-გეიმმა 22 ოქტომბერს ხელმწიფე იმპერატორის სახელით საელჩოს ყველა წევრების, მელინის, გენერლების, ბილლიოს და ტურნიეს, ქალბატონ კარნოს და მისი სამი ვაჟის თანადასწრებით პანტეონში გვირგვინით შეამკო განსვენებულ პრეზიდენტის კარნოს საფლავი.

**პარიზი.** პანტეონში მომხდარ ცერემონიის შემდეგ კაპიტან კარნომ ქალბატონ კარნოს სახელით სამადლობელი დეპეშა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს.

**პარიზი.** პალატა. გოშენს (მარჯვნივ დასისა) კითხვა შეაქვს პალატაში სომხეთში მომხდარ ამბების შესახებ, დაწვრილებით არჩევს სომხების თავგადასავალს, ოსმალეთის სასტიკობას და ბოლოს მოაგონებს პალატას საფრანგეთის ჩვეულებრივს კაცთმოყვრულ მოძღვრებას და ამბობს — საფრანგეთს უნდა აეძულებინა ევროპა, რომ დასავლეთის უსამართლობისათვის ბოლო მოეღოვო- დემენი ჰკიცხავს ევროპის გულგრილობას და ხონთქარს ამტყუნებს, რომ მან ვერ შეაჩერა ქრისტიანთ აღხოცვაო. გოუბარი (რადიკალთა დასი) წინააღმდეგია ევროპის საერთო მოქმედებისა და ამბობს, რომ მარტო რუსეთს და საფრანგეთს შეეძლო აეძულებინა ხონთქარი საჭირო რეფორმებისა და წეს-რიგის შემოღებისთვის სომხეთშიო.

მდინარე რონა ნელნელა კლებულობს.

**პარიზი.** ანოტოს სიტყვის შემდგომ პალატაში ტრიბუნზე ავიდა ქორესი და სთქვა: „ანოტოსაგან ნათქვამი მოხსენება საკმარისი არ არის. სცდილობენ პასუხის მგებლობა თავიდან აიცილონ, ხოლო პასუხის მგებელი მხოლოდ ხონთქარია და მასთან ერთად მთელი ევროპა! (ისმის ტაშის კვრა მარცხნივ. ხოლო დრტვინვა ცენტრში) განსაკუთრებით ხონთქრის თანამოზიარენი და ხელის შემწყობნი არიან ინგლისი, რუსეთი და საფრანგეთი". მერე ქორესი აღნიშნავს რა პოლიტიკურ ლტოლვილებას ინგლისის და რუსეთისას, ჰკიცხავს საფრანთეთის მთავრობას იმის გამო, რომ მარტო რუსეთს მიანდო პოლიტიკური ხელმძღვანელობა აღმოსავლეთში. ბოლოს ქორესი ამბობს, რომ ევროპამ არ შეასრულა თავის თავზედ ნაკისრი მოვალეობაო. (ცენტრში დრტვინვაა( ქორესი თხოულობს მორიგ საქმეებზე გადასვლას, ხოლო ეს წინადადება პალატამ უარ-ჰყო 451 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 54 ხმისა. დეველის წინადადება მორიგ საქმეთა გადასვლაზე და მოწონება მთავრობის დეკლარაციისა პალატამ მიიღო 402 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 90 ხმისა.—

**ბერლინი.** დეპეშა შესახებ ფელდმარშალი გურკოს ჩამოსვლისა ბერლინში, მართალი არ არის. გურკო იმყოფება ვისბადენში და დარჩება იქ რამდენიმე კვირა.

**რომი.** გაზ. „დონკიხოტი" ამტყუნებს გაზ. „ტრიბუნას" ცნობებს აფრიკის საქმეთა შესახებ, ამბობს ომი კი არა, უბრალო შეტაკება მოხდა იტალიელ ჯარსა და ადგილობრივ ყაჩაღებთა შორისო.

**სტამბოლი.** არტინ-ფაშა და სტატს-სეკრეტარი კურიანი შეთანხმდნენ სომხის პატრიარქის არჩევის შესახებ. არჩევანი მალე მოხდება. ახალი პატრიაქი მხოლოდ მაშინ მიიღებს ფიცს საპატრიაქო წესდებულების აღსრულებაზე, როცა შეერთებული კომისია შეასრულებს დაპირებულ ცვლილებას, მთავრობისაგან მოწონებულს. მომავალი არჩევანების გამო პოლიცია ერთი-ორად გაძლიერებული იქმნება.

**ლონდონი** „ტაიმსს" სტამბოლიდან აუწყებენ: 21 ოქტომბერს მრავალი პირი შეიპყრეს, მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ვითომც შეთქმულობა აღმოუჩენიათ, შეთქმულებს აზრად ჰქონდათ გაეძარცვათ პერა და ქუჩის არეულობა მოეხდინათ.

**დუბლინი.** ეპისკოპოსი კილალოე მიეშურებოდა ექიმის დასაძახებლად ავადმყოფი ცოლისათვის და გზაზე უეცრივ გარდაიცვალა. ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა ეპისკოპოსის ცოლიც.

**ნიუ იორკი.** მან-კინლეი არჩეულ იქმნა ჩრდილო-ამერიკის პრეზიდენტად 242 ხმის უმეტესობით.

**პეკინი.** ამბობენ, რომ იმპერატორს ურჩევენ ჩამოართვას ლი-ხუნგ-ჩანგს ყოველი წოდება და ღირსებაო, მაგრამ იმპერატორმა თვით გადასწყვიტა ღირსების ჩამორთმევის მაგიერ ერთი წლის ჯამაგირი დაუჭიროსო.

---

## კანონი და მთავრობის განკარგულება

—

ტფილისის საგუბერნიო მმართველობა.

დათხოვნილი არიან სამსახურიდან, თანხმად მათის თხოვნისა, ტფილისის პოლიციის მოხელე სულაძე ლ ენკოიანცი. სიღნაღის სამაზრო პოლიციის მოხელენი გიორგი ტყავაძე, შავერდ შავერდოვი და დავით მატატავი.

მიღებულ არის სიღნაღის სამაზრო

ეროვნული

პოლიციის მართველობაში ივანე შაიშმელოვი.

# ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორს, საქმის დასაჩქარებლად, დეპეშით მიუმართავს სახელმწიფო ქონებათა მინისტრისათვის ახლად ამორჩეულ საქალაქო მმართველობის მეოთხე წევრის თანამდებობაზე, ხ. ა. ვერმიშევის შესახებ, ხომ არასფერს ხედავს სამინისტრო ბ-ნის ვერმიშევის გამგეობის წევრად დანიშვნის წინააღმდეგ, რადგან ბ-ნი ვერმიშევი სახელმწიფო ქონებათა უწყებაში ირიცხება.

*** კომისიას, რომელსაც მინდობილ აქვს თვალ-ყურის გდება ქალაქის ყოველ ბაღებ-სკვერებისათვის, წარუდგენია ქალაქის თვით მმართველობაში ხარჯთ აღრიცხვა მომავალ წლისათვის, საიდამაც სჩანს, რომ ეს ხარჯი ძრიელ შემცირებულა შედარებით წრევანდელთან; მაგალითად: წელს ამ საგანზე დახარჯულია 5000 მანათამდე, ხოლო მომავალ წლისათვის მთელი ხარჯი გამოანგარიშებულია 2000 მან.

*** გუშინ, 24 ოქტომბერს ქალაქის თვით-მმართველობამ საძირკველი ჩაუყარა ახალს შენობას სადეზინფექციო კამერისათვის, რომელიც ოთხს თვეში მზად უნდა იყოს. კამერა აშენდება ვოგზალთან ახლო, იქ, სადაც ამ ჟამად ტრამვაის პარკია.

*** საგუბერნიო მმართველობამ დაავალა ტფილისის ქალაქის ბეითალებს შეინფოგელს და გეორგიზონს‘ ამ დღეებშივე გაშინჯონ ტფილისის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში მსხვილი საქონელი, რომელსაც თურმე ჭირი გასჩენია.

*** ცნობილს მოსკოვის ექიმს პროფესსორს ოსტროუმოვს სოხუმში შეუძენია მიწა, სადაც თურმე განზრახვა აქვს გამართოს ფილტვებით ავადმყოფთა და ჰლერქიანებისათვის, ეგრედ წოდებული, სენატორიი, სამკურნალო ადგილი. შენობას თურმე მომავალ თებერვალში შეუდგებიან.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ „საეკკლესიო მუზეის“ გამგეობის თავმჯდომარედ, არქიმადრიტ ნიკოლოოზის სიკვდილის შემდეგ, დანიშნულ იქმნა დეკანოზი ესტატე ელიაშვილი, რომელსაც გამგეობის წევრებად მიუწვევია, წინანდელებს გარდა, ახალი პირებიც. აქამდის მუზეის წიგნთ-საცავი ებარა თ. ჟორდანიას, რომლის მოადგილედ,—რადგან იგი გადაყვანილ იქმნა გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების ზედამხედველად, გამწესდება ახალი პირი. იმედია, მუზეის საქმე ისე მოეწყობა, რომ ჩვენის წარსულ ცხოვრების მოყვარეთ მიეცემათ შეძლება გაიცნონ ძვირფასი სალარო, რომელშიაც დაკრძალულია მრავალი შესანიშნავი ხელნაწერი.

*** რუსულს გაზეთებში სწერია, რომ ქ-ნს ვოეიკოვისას უანდერძებია 20,000 მანათი მოსკოვის თავად-აზნაურთა სასარგებლოდ, იმ პირობით, რომ ხსენებულ თანხის სარგებელი მოხმარდეს გაჭირვებულ თავად-აზნაურთ მხოლოდ მოსკოვის გუბერნიისას.

*** იმავე გაზეთებში სწერენ, რომ ზოგიერთი უცხოეთელ სავაჭრო ფირმებს თხოვნით მიუმართნიათ ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობისათვის, რათა ნება დაერთოთ ყველა ღია ბარათებზე თუ შტემპელიან კონვერტებზე რეკლამების (განცხადებანი) დაბეჭდვისა.

*** წარსულს კვირას ვაგზალის იქით, ნაძალადევში ქართული წარმოდგენა იყო გამართული სცენის მოყვარეთაგან ბ. გრ. ჩარკვიანის სახლში. ამ წარმოდგენას იმოდენა ხალხი დაესწრო, რომ მრავალნი ფეხზედ იდგნენ. ამ უბანში უკვე ეს მესამე წარმოდგენა არის და სამჯერვე დიდძალი ხალხი ესწრობა. ეს მით აიხსნება, რომ შესვლის ფასი ძალიან იაფი იყო, დაწყებული ორი შაურიდგან ერთ მანათამდე. აქედგან ცხადათა სჩანს, რომ ხალხს თეატრი ესაჭიროება, მას მიესწრაფება და უნდა მით განავითაროს თავისი თავი თავისუფალ დროს, მაგრამ მათდა სამწუხაროთ იგინი ისე არიან დაშორებულნი ქალაქის დიდს თეატრზედ, რომ იქ სიარული არ ძალუძთ. ამ გარემოებისათვის, როგორც გუშინდელ ნომერში გვქონდა მოხსენებული, ყურადღება მიუქცევია ბ. ალ. როინაშვილის. დიდი მადლობის ღირსია ბ. ალ. როიანაშვილი ამ განძრახვისათვის და სრული იმედიც გვაქვს, რომ თავის დაპირებას აღასრულებს. მით უფრო, რომ ნაძალადევში მცხოვრებნი თითქმის სულ ხელოსნები არიან და ეჭვი არ არის, ისინი თვითონ უშველიან თეატრის აშენებაში. თვეში რომ ორჯელ გაიმართოს წარმოდგენა, უეჭველია, ბ. ალ. როიანაშვილის დანახარჯს ნაძალადეველნი ზაფხულამდე დაუბრუნებენ დიდის მადლობით.

*** ბორჯომიდან გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ ატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ 10—12 დღეს ტყეში 5 სადგილას ცეცხლი გაჩენილა, მაგრამ მალე ჩაუქვრიათ.

*** იმავე გაზეთს კავკავიდან სწერენ: ამბობენ, ყაბარდოელებმა მთავრობას მიმართეს თხოვნით, რომ ნალჩიკს არსებული სკოლა რეალურ სასწავლებლად გადაკეთებულ იქმნას. ამ საქმისათვის ყაბარდოელებს 11,000 მან. აქვთ მოგროვილი და თუ მათი თხოვნა შეწყნარებულ იქნება, მზად არიან თავიანთ შორის ფული კიდევ მოაგროვონ.

*** გაზ. «ს. პეტერბურგ. ვედ“. სიტყვით ახალი განკარგულება გამოსულა სახალხო და პირველ-დაწყებითი სკოლების დაარსების შესახებ. უწმიდესს სინოდს მოუხდენია განკარგულება, რომ დიაკვნებმა ყველა ეპარხიებში განხსნან სამრევლო სკოლები და წერა-კითხვის სკოლები იმის მიუხედავად, არის თუ არა იმ ადგილს სამინისტრო ანუ საერო სკოლა; ამასთანავე, რომ ყველა ეპარქიაში, შეძლებისამებრ, დაარსდეს წერა-კითხვის სკოლები ქალებისათვის.

*** ტფილისში ამ ჟამად ძალიან გავრცელებულია ყალბი ვერცხლის შაურიანები. ეს გაფიცული მეტად ტლანქად არის გაკეთებული. და სიყალბე ადვილად შეეტყობა, თუ გულ-დადებით გასინჯეთ.

*** როგორც გვატყობინებენ ეჩმიაძინიდგან, კათალიკოზი მკრტიჩ I ამ დღეებში გაემგზავრება ქალაქ ბაქოში.

*** მკითხველებმა უეჭველია იციან, რომ შარშან გორის მაზრის მემამულეთ განიზრახეს სამეურნეო ამხანაგობის დაარსება. მაშინვე შემუშავდა წესდება „გორის მაზრის, ტფილისის გუბერნიისა, მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობისა“ და დასამტკიცებლად მაშინვე ბ. სახელმწიფო ქონებათა მინისტრს გაეგზავნა. 17 ეკენისთვეს წესდება დამტკიცებულ იქმნა და მის შემადგენელებს უკანვე დაუბრუნდათ.

ამხანაგობას აზრადა აქვს თავის წევრებს ყოველ გვარი დახმარება აღმოუჩინოს- ყველა იმ ნივთების შეძენაში, რომელნიც-კი მის მეურნეობისათვის საჭირო იქნება და აგრეთვე მათისავე მეურნეობის ნაწარმოებ საგნების გასაღებაში. ამ უკანასკნელის განზრახვის შესრულებისათვის, თუ საჭირო იქნება, ამხანაგობა გამართავს სამეურნეო და სატეხნიკო ქარხანას.

სხვა და-სხვა ნაწარმოებზედ, რომელსაც ამხანაგობის წევრნი გასასყიდათ ამხანაგობას ჩააბარებენ, იგი სესხს აძლევს; ამხანაგობას უფლება აქვს რუსეთში და სამზღვარ გარეთ საწყობების აგენტურისა და მაღაზიების გამართვისა. ამ-

## თეატრის მატიანე

„მზჟუტავნი ცეცხლნი“, დრამა 5 მოქმედ. ანტროპოვისა. თარგმანი კ. ნასიძისა.

ამ განათლებისა, რკინის გზებისა და ელექტრონის საუკუნეში აქამდე ერთი რამ არ არის გამოძიებული, გმოკვლეული და ამ მხრივ კაცობრიობას ერთი ისეთი საჭირო ცნობა აკლია, რომელიც ყველასათვის ფრიად საყურადღებოა და საგულისხმო. სიძველეთა მოყვარულნი და წარღვნის წინა დროის პირუტყვების ნაკვთის აღმადგენელნი ერთის მისის ნაპოვნ კბილის საშუალებით კარგს იზამდნენ გამოიძიებდნენ, რა ემართება მწერლის ძვლებს სამარეში, როდესაც არტისტები იმის ნაწარმოებს სცენაზედ ჯვარს აცმენ ხოლმე. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა, მაგალითებრ, შექსპირის ძვლები, რომლებიც, ჩემის აზრით, სრულიად დამსხვრეულ-გადამტვერებულნი უნდა იყვნენ ბევრის გადაბრ გადმობრუნებუნებისა გამო. არა მგონია უკეთესი დღე დასდგომოდეს საბრალო რუსეთის მწერალს ანტროპოვს გუშინ წინ, ოთხშაბათს, 23 ოქტომბერს, როდესაც ჩვენის სცენის ნორჩმა და არა ნორჩმა არტისტებმა საერთო ძალ-ღონით და ერთის შებერვით სრულიად ჩააქრეს და ჩააბნელეს მისი „მბჟუტავნი ცეცხლნი“. თუმცა ამ ხანად ელექტრონის სინათლე ჩვეულებრივ აღარა ციალობდა, თუმცა-კი გამოკაშკაშდა და იჭაურობას თავისი ნაზი, აღერსიანი სხივები უხვად მოჰფინა, მაგრამ საბრალო პიესამ ანტროპოვისამ, რომელმაც აქამდე ნიჭიერ არტისტთა წყალობით ჰბჟუტავდა კიდევ, თუ დღევანდლამდე იბჟუტა, დღეს ჩამქრალია და ჩანელებული ისე, რომ ბაქოს ნავთიც ვერ აღანთებს მის ჩამქრალს სიბჟუტავეს .

მაინც-კი შესანიშნავი იყო ეს წარმოდგენა. ამ წარმოდგენამ გვაჩვენა, რომ აზღვავებული გრძნობა არტისტის შეკუმშულს ხელსა და სერთუკის საყელოში იფარავს თავს და თუ გინდათ მისი დანახვება, ხელი უნდა ჰკუმშით და გაშალოთ და რაც შეიძლება სერთუკის საყელო აცოდვილოთ. ამას დაუმატეთ ხშირი ქშინვა და ხან დაბშული ჩახველებ-ჩაპოყუნება, აჩქარებული სიარული, სწორედ ისეთი, როგორც დარბის ხოლმე ადამიანი, როდესაც ქისა დაჰკარგვია და იმედეულობს, საღმე დამრჩებოდა, მწარე ღიმილის ნაცვლად კბილების გამოკრეჭა, გამოკრეჭა ისე, რომ თითო-თითოდ დაითვლებოდეს.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ დრამატიულის როლის ასრულება არც ისე ძნელია, როგორც ბევრსჰგონია: დალონებული ხართ—თავი ჩაჰკიდეთ, მხიარული—თავი მაღლა ამართეთ, მინაეზბული—თავი მარჯვნივ მხარეს გადაიღეთ, გულია-ჩვილებული—მარცხნივ მხარეს გადმო-

ხანაგობას შეუძლიან მოძრავი და უძრავი ქონება საკუთრებად შეიძინოს. ამხანაგათ შეუძლიან ჩაეწეროს ყველას, ვინც გორის მაზრაში მეურნეობას მისდევს: მემამულეს, მოიჯარადარეს, მოურავს და სხვ. ყოველმა ამხანაგმა პაის გარდა უნდა გარდაიხადოს 10 მან. საწევრო ფული, პაი 100 მან. ღირს. ერთ პირს შეუძლიან შეძინოს. 25 პაი

ამხანაგობის საქმეეს განაგებს საზოგადო წევრთა კრება, ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა; ამ უკანასკნელი დაწესებულების მუდმივი ბინა სოფ. გომშია დანიშნული.

გულით და სულით ვისურვებთ ამხანაგობის დაარსებას და კეთილის განზრახვის განხორციელებას.

*** საფილოქსერო კომიტეტის განკარგულებით ქართულს ენაზედ დაიბეჭდა მევენახეთა შორის გასავრცელებლად მოკლე დარიგება ვაზის ობის და ნაცრის წამლობისათვის. ესევე დარიგება რუსულად დაიბეჭდა და დარიგდა ამ ერთის თვის წინად. დარიგება შედგენილია აგრონომის თ. თვ. ანდრონიკაშვილის მიერ.

*** ხიდისთავში დიდიხანია საქონელს ჭირი გაუჩნდა, მაგრამ აქამდის არავითარი ღონისძიება არ-არი სმიღებული მის მოსასპობლად, აქამდის კარანტინიც არ არის დაარსებული ხიდისთავს და მეზობელ სოფლებ შორის. თუ არა მოხერხდარა მოსალოდნელია, რომ იგი სენი გავრცელდება სხვა სოფლებშიაც.

*** ხიდისთავს სახელი წამხდარი აქვს, როგორც ციების ბუდეს და მართლაც ამ სოფელში მუდამ ციებით ავადმყოფობაა გავრცელებული. ამის მიზეზი ის არის, რომ ხიდისთავის გარშემო ბევრი ჭაობი ადგილია. ეს ჭაობები გაჩნდნენ რკინის გზის გაყვანის შემდეგ. რამდენჯერმე სთხოვეს ხიდისთაველებმა რკინის გზის გამგეობას, რომ ჭაობები დაეშროთ, მაგრამ იმათმა თხოვნამ ვერ გასჭრა. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, ზოგიერთ ადგილობრივს მემამულეთა თხოვნით წყლების მმართველობას გადაუწყვეტნია ამ საქმის ასრულება და ამ მოკლე ხანებში შეუდგება ჭაობების დაშრობას. ღმერთმა ქმნას.!

*** რადგან წელს ზემო ქართლში, სურამის საბოქაულოში, ძლიერ ცუდი მოსავალი იყო პურეულობისა, მეურნეთ ბზეც ცოტა მიიღეს, ასე რომ საქონლის საკვები საკმარისი არ აქვსთ და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენში წესად არა აქვსთ საქონლის საკვებავად საზამთროთ ბალახეულობისა და სხვა საკვებავი მასალის დამზადება, ადვილად წარმოვიდგენთ იმ ცუდს მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენი მეურნენი იმყოფებიან. საკვები მასალა რომ არა აქვსთ, იძულებულნი არიან საქონელი ან გაყიდონ, ან მომავალს ზამთარს საკვებავად სხვაგან გააბარონ. ამ გაბარებისათვის კი ხარჯია საჭირო. თითო ცალ ხარ-კამბეჩზედ რვა-ცხრა მანათს იღებენ.

*** რადგანაც ქართველი საზოგადოება ფრიად დაინტერესებულია, რომ რაც შეიძლება მალე დამტკიცდეს ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების წესდება, ამიტომ ვაცნობებთ ამის შესახებ ჩვენს მკითხველებს ნამდვილ წყაროდან შეტყობილ ამბავს: ხსენებულ საზოგადოების დამფუძნებლებმა თავის რწმუნებულად აირჩიეს კნეინა ბარბარე ბარათაშვილისა, რომელსაც დაევალა წესდების წარდგენა სადაც ჯერ არს; პატივცემულმა კნეინამ ამ წლის აპრილშივე წარუდგინა ბ. გუბერნატორს შემუშავებული და ხელმოწერილი ასზე მეტი დამფუძნებელისაგან წესდება. ბ. გუბერნატორმა თავის მხრით გადასცა ეს წესდება ბ. მთავარ-მართებელის კანცელარიას, სადაც რიგისამებრ უნდა განიხილონ. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ქველმოქმედებით ცნობილი კნეინა ყოველ ღონეს იხმარს და წესდების განხილვას დააჩქარებინებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ყოვლად სასარგებლო საქმის განხორციელება ძალიან საჭიროა და რაც უფრო მალე მოგვივა მისი დაარსების ნება-რთვა, მით უფრო უმჯობესია.

*** გაზ. „ნოვო ობოზრენისს" მცხეთიდან ატყობინებენ, რომ აქაურს სობოროში ქურდობა აღმოუჩენიათ: მოუპარავთ ერთი ჯვარი და ძვირფასი ხატი.

*** იმავე გაზეთს სოხუმიდამ ატყობინებენ, რომ ამ ოცის წლის წინად თავ. ჭავჭავაძემ, რომელიც მაშინ სამურზაყანოს პოლკის უფროსი იყო, უანდერძა სამურზაყანოს მგვიდრთ ოცი ათასი მანათი, რომ ამ ფულით სამურზაყანოს საადგილ-მამულო ბანკი დაეარსებინათ. ამ ჟამად თანხა საკმაოდ გადიდებულა, მაგრამ თ. ჭავჭავაძის კეთილი განზრახვა არ განხორციელებულა, რადგან ადგილობრივს ადმინისტრაცია იმ აზრისა იყო რომ შემომწირველის აზრის განხორციელება ადრეაო. ქუთაისის საგუბერნიო მთავრობას ამ დღეებში კავკასიის მთავრობისათვის განსახილველად წარუდგენია თავისი აზრი იმის შესახებ, რომ საადგილ-მამულო ბანკის მაგი-ერ, როგორც შემომწირველსა ჰქონდა აზრად, გამსესხებელ-შემნახველი კასსები დარსდეს სამურზაყანოს, სოხუმის ოლქისა, სხვა და სხვა ადგილებში. ამ კასსების წესდება შეთანხმებულია სასოფლო ბანკების ნორმალურს წესებთან. ამას გარდა, ქუთაისის საგუბერნიო მთავრობას განზრახვა აქვს მხოლოდ ზოგიერთი სოფლის საზოგადოებაში დააარსოს კასები, რადგან ჯერ-ჯერობით ვითომ, სამურზაყანოს ყოველს სოფლის საზოგადოებაში არ მოიძებნებიან იმისთანა პირნი, რომლებთაც შეიძლებოდეს კასსების გამგეობის საქმე მიენდოთ.

*** მცოდნე ქქიმი. ერთი კოპწია და ლამაზი ქალი, რომელსაც სურდო აწუხებდა, ჰკითხავს ახალგაზდა შავ თვალ-წარბა ექიმს.

— ერთი მიბრძანე ექიმო, რას შვრებით ხოლმე როცა სურდო გჭირთ?

— ცხვირს ვაცემინებ, ქალბატონო!

— ??!!

*** თავმომწონე მზარეული. ერთს ოჯახში სამზარეულოდან ყოველ-დღე მამლის ყივილი გაისმოდა; დიასახლისმა ვერ მოითმინა და გაალმასებით ჰკითხა მზარეულს:

— ბიჭო, რა ხატი და ღმერთი გიწყრება, რა გაყივლებს მამალივით.

— იმე, ქალბატონო, რავა ვერ მიხვდით, რა მაყივლებს. აგერ ერთი კვირაა, რაც ლობიო და ერბო კვერცხის მეტი არა გამიკეთებია-რა და მამალივით მიტომ ვყივი, რომე მეზობლებს ეგონოთ, მითომ დღეს სადილად ყვერულსა ვკლავ!...

## პოლიციის მატიანე

—

ამ თვის შუა რიცხვებში მცხოვრებელნი სიღნაღის მაზრის სოფ. მირზაანისა ალექსი ჯარიაშვილი და ნიკო პოპიაშვილი რაღაზედაც წაჩხუბებულან და ერთმანეთისათვის ისე უცემნიათ რომ პირველი მათგანი ალექსი ჯარიაშვილ ამ თვის 18-ს მომკვდარა კიდეც.

—

ამ თვის 18 მცხოვრებნი გორის მაზრის სოფ. რუისისა მღებრიშვილი სოლომან და პეტრე გოგინაშვილი, ცოტათი შეზარხოშებულნი, სოფელ ხვედურეთიდან მოდიოდნენ და იმის მაგიერად, რომ პარომით გადმოსულიყვნენ მტკვარზე, ფონით დაუპირებიათ გადმოსვლა, მაგრამ ერთს მათგანს საუბედუროდ ფეხი წაუსხლტა და წაქცევისათანავე წყალმა დაახრჩო. მერე დღეს საბრალო დამარჩვალი მღებრიშვილი ურბნისთან უპოვნიათ.

—

სოფელ ზოიკარს, გორის მაზრაში, ვიღაც ბოროტებმა ცეცხლი წაუ-

ღეთ იგივე თავი წელის მოძრაობით, გულ-მხურვალება უნდა გამოიჩინოთ თქვენსავე მკერდს მაგარი მჯილი ჰკარით მხოლოდ ფრთხილად-კი, თუ გახამებული პერანგი გაცვიათ, რადგან შეიძლება პერანგს მოჰხვდეს მჯილი და გულმა სიცალიერის ხმა გამოსცეს, იმის დანახვება გინდათ, რომ მწუხარება მახრჩობსო—ყელში წაიჭირეთ ისე მაგრად ხელი, რომ თვალებში სისხლი მოგადგეთ, უკეთესი იქნება, რო პერანგის ღილი გაიწყვიტოთ და ყელსახვევი გადააგდოთ; თუ მეტის-მეტის სიხარულის აღნიშვნა გინდათ—შეკუნტრუშდით, მაგრამ ძალიან მაღლა არ შეხტეთ, რადგან შეიძლება თავი ველარ შეიმაგროთ, ძირს მოგძკრეთ ბრაგვანი და ეს არ გამოდგება ეს მაშინ უნდა როცა ელდა-ცემული ეცემით ძირს და ორივე ხელს იატაკზედ ატყაპუნებთ, ჩემმა დაცემამ ხმა ამოიღოსო—; თუ უნდა აკოცოთ ვისმე და არ-კი გინდათ ბაგეები შეახოთ, ამის მოხერხებაც ადვილია,—მოაბრუნეთ თქვენი არშიყი დასაკლავ გოჭივით, ზურგი საზოგადოებას უჩვენეთ, ის მკლავზედ დაიწვინეთ და თქვენც თავი დახარეთ. ამ დროს, კოცნა-კი არა, მწვანე ლობიოზედ რომ ელაპარაკოთ თქვენს თანამოთამაშეს, საზოგადოება ვერას მიხვდება, ეგონება ჰკოცნისო.

ჯერ-ჯერობით ეს ცნობებიცა კმარა შენთვის, მკითხველო. თუ არ იკმარებ, შენივე ბრალია, გუშინ-წინდელს ქართულს წარმოდგენას რომ დასწრობოდი, იქ ამასაც შეიძენდი და ამისთანას ბევრსაც სხვას.

მაინც როგორ წარმოადგინესო, იკითხავ, ვინ როგორი იყოო? მოგახსენებთ: ქ-ნი ავალიშვილისა (ლიდია) სცდილობდა კარგი ყოფილიყო; ქ-ნი გარგარელისა (ელენე) ძალიან სუსტობდა, რადგან თავის როლში არ იყო; ბ-ნი ყიფიანი (დიკოვსკი)—არც ჰო და არც არა იყო; ბ-ნი მარჯანიშვილი (ხოლმინი) სუსტზედ სუსტი იყო; ბ-ნი გედევანოვი (მოხუცებული კნიაზი) ჩვეულებრივ კარგი იყო; ბ-ნი კარბელი (ყმაწვილი კაცი) კუნტრუშობდა და ეტყობოდა, რომ თავისს სიცოცხლეში ფრაკი პირველად ჩაეცვა; ქ-ნი ბარამიძისა (აკულინა)—იმედს იძლეოდა სიკარგისას; ბ-ნი კანდელაკი (მწერალი) მესამე ხარისხის გადამწერელსა ჰგავდა, ვიდრე მწერლობის წარმომადგენელს; ყველანი-კი საერთოდ ბევრს სცდილობდნენ, მაგრამ ყველას-კი ისევ მთვარე ჰჯობდა, ისე მოხერხებით გაკეთებული, რომ არა გვგონია, ჰამბურგში აკეთებდნენ ისე.

სხვათა შორის უნდა დავსძინოთ, რომ თუ თეატრის დარბაზში სციოდა, ამისი მიზეზი „მბჟუტავ ცეცხლთა" ისე მოულოდნელად ჩაქრობა იყო და სხვა არაფერი.

ბ-ნს კოტ. ნასიძეს-კი, ვითარცა მთარგმნელს, ისეთის უცნაურის თარგმანისათვის ჯილდოდ ერგება მხოლოდ ფერფლი ჩამქრალის „მბჟუტავ ცეცხლისა" და ეს ჯილდო, მერწმუნოს, თუ ბევრი არა, ცოტა მაინც და მაინც არ არის.

კიდეს ნონე ცილიშვილის სამძელს, რომელიც სულ ერთიანად გადიწვა. ეჭვი ადგილობრივ პოლიციას მიტანილი აქვს სოფ-რეხის მცხოვრებელზე ყარაულიშვილზედ.

—

სოფ. ხიდისთავს, გორის მაზრაში, საქონელზე ამ თვის შუა რიცხვიდან რაღაც ჭირი გაჩენილა და საქონელი ბევრი იხოცება თურმე. საწინააღმდეგო ზომებისათვის უკვე გაუგზავნიათ ბეითალი მელქუმოვი. ამასვე აქვს მინდობილი დაიაროს სოფლები, სადაც ის ჭირი მძვინვარებს.

—

23 ოქტომბერს, დილის ხუთ საათზე, დატუსაღებული მეცხრე პოლიციის ნაწილში, სიღნაღის მაზრის სოფ. ნუკრიანის მცხოვრები ზალიკო შოვლაშვილი, რომელიც დაჭერილ იყო ავლაბარში მცხოვრებ მღვდელ ზაქარია გძელიშვილის სხვა-და-სხვა ნივთების მოპარვის გამო, გაქცევა დააპირა, ისარგებლა პოლიციის ყარაულის სულ ცოტა ხნით საჭიროებისათვის წასვლით, სატუსაღოს კარები დაამტვრია და გაიქცა, მაგრამ იქავე ეზოში დაიჭირეს და მეოთხე სასამართლოს განყოფილების გამომძიებელს გადასცეს. გამომძიებელმა იმ დღესვე ციხეში ჩაასმევინა დამნაშავე.

—

23 ოქტომბერსავე, საღამოს 8 საათზედ, მეცხრე პოლაციის ნაწილში, მუხრან-ბატონის ვიწრო ქუჩაზედ, იარალოვის სახლის მახლობლად, პოლიციის მოხელემ იპოვნა მიგდებული ბავშვი, ესე სამი კვირის ქალი. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

—

იმავე დღეს მეექვსე ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზედ ტრამვაი დაეჯახა ნუხის მცხოვრებს ალიას ბეკიბრაგიმ ბეკ-ოღლის და დაუშავა მარჯვენა გვერდი. ნათესავებმა დაშავებული ხახლში წაიყვანეს

## საღამოს დეპეშა

24 ოქტომბერი.

**ჰელსინგფორსი.** სტუდენტმა საექიმო აკადემიისამ მოსალოვსკიმ და ახალგაზდა მანდილოსანმა დამბაჩა დაიცეს სასტუმროში „Иматра водонадъ“. მანდილოსანი გარდაიცვალა. მოსალოვსკი ჯერ ცოცხალია, თუმცა მორჩენის იმედი არა აქვთ. მოსალოვსკი ქ. პენზას მცხოვრებია.

**სტამბოლი.** დიდმა ვეზირმა გასცა ბრძანება პოლიციას, რომ საზღვარ გარეთის სომხების კომიტეტმა გამოგზავნა სტამბოლში 200 კაცი ამბორებისა და მკვლელობის მოსახდენათო. 100 კაცი უკვე შემოვიდა ქალაქში, დანარჩენნი ხომალდებზედ იმყოფებიან პორტაშიო. ფიქრობენ, რომ ეს ამბავი ამისთვის არის მოგონილი, რომ სულთანს ხომალდების გაჩხრეკის ნება-რთვა გამოსთხოვონ.

**ფილიპოპოლი** სტამბოლიდამ ხმა მოვიდა, რომ იქ მრავალი სასულიერო პირი მაჰმადიანებისა დაუტუსაღებიათ. გასაფთხილები ზომები მიიღეს ოსმალების უბანში.

**ნიუ-იორკი** ნიუ-იორკისა და სხვა დიდი ქალაქების უმთავრეს ქუჩებზედ დიდი სიხარული და ლხინი გაიმართა, როდესაც გამოცხადებულ იქმნა შედეგი არჩევნებისა.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ოქტომბ.

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — „ | — „ | 7, 50 |
| 5°/₀ მომგები გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 210½ |
| 4½°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | 101⅜ |
| 4°/₀ იმავე ბანკისა . | 97½ | — „ | — „ |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. . | — „ | — „ | — „ |
| 6°/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 | — „ | — „ |
| აქციები აზოვი-დონის საკომერციო ბანკისა . . . . . . | 610 | — „ | — „ |
| 5°/₀ მომგები ბილეთები პირველის სესხისა . . . . . | — „ | — „ | 290 |
| 5°/₀ მომგები ბილეთები მეორე სესხისა . . . . . | — „ | — „ | 250½ |

### ცნობა სასამართლოდან.

—

ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევათ შემდეგი საქმეები:

25 ოქტომბერს.

— ალექსი წულუკიძისა ივანე ჩხენკელთან მიწის თაობაზე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე.—

27 ოქტომბერს.

— თავადი ილია ხერხეულიძისა ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებაზედ, რომ მას სასამართლომ არ დაუმტკიცა მამული, კუთვნილი კნ. ნინო ციციშვილისა.—

— ალექსი და იასე ჩანკოტაძეთა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—საქმისა გამო თომა ფარცვაძესთან ფულების თაობაზედ.

— კესარია წულუკიძისა ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—ბასილ ცივცივაძის მამულის მეძიებლობის შესახებ.

— ოქროპირ ჭელიძისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—ლევან გოცირიძესთან ფულის თაობაზედ.

31 ოქტომბერს.

ნინა თულაშვილისა ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე—სიმონ დვალიძესთან, მამულის თაობაზედ.

12 ნოემბერს.

სურნალის (ქუთაისის მაზრაშია) მამულების გამიჯვნის დროს ატეხილი დავა განირჩნვა 12-ს მომავალს გიორგობისთვეს.

### ვაჭრების საყურადღებოდ.

—

25 ნოემბერს ქუთაისის გიმნაზიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარის გასაცემათ. იჯარადარმა უნდა აძლიოს გიმნაზიას 1897 წელს სანოვაგე, ტანთ-საცმელი და სხვა და სხვა საქონელი. პირობათა შეტყობა შეიძლება ყოველ დღე გიმნაზიის კანცელარიაში, კვირა უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

### საკალენდარო ცნობა

ოქტომბერი

25. პარასკ. მოწ. მარკიანესი, მარტვირისა, და ანასტასესი.
26. შაბათ. წმ. დიდ. მოწ. დიმიტრისა. ღირ. ათანასესი.
27. კვირა წმ. მოწ. ნესტორისა, მარკოზისა, ღირ. ანდრიასი.

### ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომშა მატარებელი №1 გადის დილის 9 ს. 10 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დილით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 21 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

### გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-სამასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივის გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-სამასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

—

## განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ი. იმედაშვილის და ს. ჭელიძის გამოცემანი:

№ 1

**ლექსები და პოემები**

ი. ევდოშვილისა.

ფასი 25 კ.

№ 2 „ნატვრა,“ ლეგენდა შ. მღვიმელისა.

ფასი 2 კ.

წიგნების უმთავრესი საწყობი: გიორგიევის ქუჩა, არჯევანიძის სახლში, № 14, ამხ. ს. ჭელიძის და ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 го Октября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. სიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია